

აშშ საელჩო საქართველოში აცხადებს 2012-2013 აკადემიური წლის ფულბრაიტის მკვლევართა გაცვლის პროგრამას, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სადოქტორო ხარისხის მქონე მეცნიერებს აწარმოონ კვლევები ან წაიკითხონ ლექციები ამერიკის შეერთებულ შტატებში. კანდიდატები შეირჩევიან ყოველწლიური კონკურსის შედეგად.

#### აუცილებელი მოთხოვნები:

- საქართველოს მოქალაქეობა
- დოქტორის ხარისხი
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა (ზეპირი, წერა)
- J-1 ვიზის მიღების შესაძლებლობა
- ჯანმრთელობის ცნობა

#### აპლიკაციას თან უნდა ერთვოდეს:

- დაწვრილებითი ანგარიში აშშ-ში წასაკითხი ლექციების ან ჩასატარებელი კვლევის შესახებ
- დეტალური CV (რეზიუმე)
- სამი სარეკომენდაციო წერილი
- ბიბლიოგრაფია (კვლევის) ან სილაბუსი (ლექციების)
- მოწვევის წერილი აშშ მასპინძელი უნივერსიტეტიდან
- სადოქტორო ხარისხის დამადასტურებელი მოწმობის ასლი
- პასპორტის ასლი

#### კვლევის სფეროებია:

სოფლის მეურნეობა, ამერიკისმცოდნეობა, ბიოლოგია, ბიზნესის ადმინისტრირება, ქიმია, ეკონომიკა, განათლება, საინჟინრო მეცნიერებები, გარემოს დაცვა, კინომცოდნეობა, ისტორია, საინფორმაციო მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, სამართალი, საზოგადოებრივი მართვა, საბიბლიოთეკო საქმე, მათემატიკა, მედიცინა, ფიზიკა, პოლიტიკური მეცნიერებები, ფსიქოლოგია, სახელმწიფო მართვა, ჯანდაცვა, სოციოლოგია, ინგლისური, როგორც უცხო ენა, თეატრი, ურბანული დაგეგმარება.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი:

<http://georgia.usembassy.gov/resources/programs/exchange-programs/fulbright-program>

საკონტაქტო პირი:

თეა კუჭუხიძე

ტელ: 2 27 71 48

ელ-ფოსტა: [KuchukhidzeT@state.gov](mailto:KuchukhidzeT@state.gov)

საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 2011 წლის 7 ნოემბერი